აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
29 დეკემბერი, 2017

დადგენილება №43 (17/18)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო ცხრილის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი დამტკიცების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო ცხრილის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში სასწავლო საფეხურების მიხედვით სასწავლო ცხრილის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების პროცედურებს.
1.2. უნივერსიტეტში სასწავლო ცხრილის დაგეგმვის, შეფასების წესს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება.
1.3. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარიმართება ექვსი დღის განმავლობაში.

თავი II. სასწავლო ცხრილების დაგეგმვა

მუხლი 2. დაგეგმვა და შედგენა

2.1. მობილობისა და აღდგენის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხულ და აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტთა განსხვავებული (ასათვისებელი) კრედიტების (თუ სტუდენტს უხდება ჩაუბარებელი, დარჩენილი საგნის კურსის განმეორებით მოსმენა, ან სემესტრში 30 კრედიტზე მეტის ათვისება (არა უმეტეს 40 კრედიტი), ან სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტზე მეტის ათვისება (არაუმეტეს 75 კრედიტი) აკადემიური უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროცესი წარიმართება ორ ცვლაში, ფაკულტეტის დეკანები სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით სასწავლო ცხრილებს ადგენენ და მასში ლექციებისა, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობების განაწილება - დაწყვილებას ახდენენ ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან, უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე, ჯგუფების მიხედვით და მუშაობას წარმართავენ შემდეგი სქემით:

- პირველ ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეორე ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მესამე ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეოთხე ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეხუთე ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეექვეს ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეშვიდე ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მერვე ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;

2.2. მედიცინის ფაკულტეტის პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით მეხუთე და მეექვსე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის კურაციები წარიმართება რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით დადგენილი გრაფიკით.
2.3. ლექცია, პრაქტიკუმის და ლაბორატორიული სამუშაოს ხანგრძლივობა განსაზღვრულია ერთ აკადემიური საათით (50 ასტრონომიული წუთი).
2.4. ლექციებს შორის შესვენების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 10 ასტრონომიული წუთით.
2.5. ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის სასწავლო გრაფიკი წარიმართოს შემდეგი განრიგით:

I ცვლა	II ცვლა
I ლექცია – 9^{00}–9^{50}	13^{00}–13^{50}
II ლექცია 10^{00}–10^{50}	14^{00}–14^{50}
III ლექცია 11^{00}–11^{50}	15^{00}–15^{50}
IV ლექცია 12^{00}–12^{50}	16^{00}–16^{50}

2.6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების განაწილება - დაწყვილება საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფაკულტეტის დეკანების გადაწყვეტილებით სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილებასთან შეთანხმებით.

2.7. minor საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარიმართოს ორ დღეს: სამშაბათს და ხუთშაბათს და ლექციები წარიმართოს ამ წესის მე-2 მუხლის 2.5 პუნქტით დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

2.8. minor საგანმანათლებლო პროგრამის დღეებში სამშაბათს და ხუთშაბათს შესაძლებელია ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის ლექცია-პრაქტიკული სამუშაოების დანიშვნა.

2.9. პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების დაიწყება განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით. სასწავლო ცხრილები შედგეს პროფესიული პროგრამების კოორდინატორის, დეკანების, დეკანის მოადგილისა და სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის და განყოფილების თანამშრომლების ერთობლივი საქმიანობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის სააუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით.

2.10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების დაწყება განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით. სასწავლო ცხრილი დგება ფაკულტეტის დეკანისა და სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის და განყოფილების თანამშრომლების ერთობლივი საქმიანობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის სააუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით.

2.11. სასწავლო ცხრილები დგება ფაკულტეტის დეკანების, დეკანის მოადგილისა და სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის და განყოფილების თანამშრომლების ერთობლივი საქმიანობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის სააუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით.

2.12. სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება წინასწარ ადგენს სასწავლო ჯგუფების რაოდენობას, შეისწავლის სააუდიტორიო ფონდს და დეკანებთან შეთანხმებით ახდენს მისი ოპტიმალურ განაწილება - გამოყენებას სასწავლო ცხრილის შედგენის დროს;

2.13. სასწავლო ჯგუფებისათვის ცხრილები დგება ინფორმაციული ტექნოლოგიების და უცხო ენების სასწავლო კურსებზე გათვლით. უცხო ენის სასწავლო კურსებისათვის (ძირითადი უცხო ენები და არჩევითი უცხო ენები) განისაზღვროს ცხრილში ჩასმის გრაფიკები, ამ წესის მე-2 მუხლის 2.14, 2.15, 2.16, 2.17, 2.18, 2.19, 2.20, 2.21, 2.22 პუქტების მიხედვით.

2.14. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მედიცინის, პედაგოგიური, საინჟინრო-ტექნოლოგიური, საინჟინრო-ტექნიკური და აგრარული ფაკულტეტის პირველი და მეორე სასაწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა, და

მეორე უცხო ენა ჩატარების განრიგი განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით.

2.15. საშემოდგომო და საგაზაფხულო „არჩევითი უცხოენებისათვის“ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული აუდიტორიები საუნივერსიტეტო ფონდიდან და ლექციები ცხრილში ჩაისვას სამშაბათსა და ხუთშაბათს მაინორ პროგრამის დღეებში, და შაბათს, სასწავლო პროცესიის მართვის სამსახურთან შეთანხმებით.

2.16. ენათა ცენტრის ხელმძღვანელმა ფაკულტეტის დეკანებთან, სასწავლო პროცესიის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსთან შეთანხმებით შეადგინოს უცხო ენების ცხრილი.

2.17. აკადემიური პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნეს შაბათი, როგორც სასწავლო დღე.

2.18. სასწავლო ცხრილების შედგენის დროს ფაკულტეტის დეკანებმა, დეკანის მოადგილეებმა, სასწავლო პროცესიის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტებმა მაქსიმალურად დატვირთონ სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი დღე.

2.19. სასწავლო ცხრილების შედგენის დროს ფაკულტეტების დეკანები, დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტების ხარისხის სამასახურის უფროსები, დეპარტამენტების კოორდინატორები და პროგრამის ხელმძღვანელები, ხელმძღვანელობენ იმ სავალდებულო პრინციპით, რომ მათ მაქსიმალურად დაგეგმონ თავიანთი სააუდიტორიო მუშაობები პირველ და მეორე ლექციებზე.

2.20. ფაკულტეტის დეკანები და ხარისხის სამსახურის უფროსები უზრუნველყოფენ სასწავლო ცხრილების სრული შესაბამისობას დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

2.21. ფაკულტეტის დეკანები სასწავლო ცხრილებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად შეიმუშავებენ ყოველი სასწავლო წლის 4 სექტემბრისა და 1 თებერვლისათვის.

2.22. მედიცინის ფაკულტეტზე პირველ სასწავლო წელს ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის დეპარტამენტების აკადემიური პერსონალის მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების ცხრილში ჩასმის განრიგი განისაზღვროს რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

2.23. ცხრილის შედგენის დროს არ უნდა იქნეს დაშვებული ე.წ. ,,ფანჯრები“, უკიდურეს შემთხვევაში მინიმუმამდე დაყვანილი იქნას ასეთი შემთხვევები და გათვალისწინებული სპეციალობის სასწავლო დისციპლინათა სპეციფიკა: ჯერ ჩაისვას სპეციალობის/სპეციალიზაციის საგნები, შემდეგ არასპეციალური და არჩევითი კურსის საგნები და სხვ.

2.24. სასწავლო ცხრილების შედგენას საერთო კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება და ფაკულტეტის დეკანებთან ერთად მობილობისა და აღდგენის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხულ და აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტთა განსხვავებული (ასათვისებელი) კრედიტების აკადემიური უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით იცავს ამ წესის მე-2 მუხლის 2.5 პუნქტით დამტკიცებული სასწავლო განრიგს.

2.25. სასწავლო ცხრილების შედგენის დროს სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), პროფესიულ სწავლებაზე, მასწავლებლის და ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამებზე შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილი იქნას განათლების მიღების შესაძლებლობა და მათთვის საჭირო გარემოს შექმნა:

- შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების პოტენციალის სრულად გამოვლენა, ღირსების და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივება, ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლებების და ადამიანური მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცება;
- შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიერ ნიჭის და შემოქმედებითი უნარების განვითარება, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენა;

- შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში სრულყოფილი ჩართულობა.
- შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობების მორგება შენობის ადაპტირებიდან და სტუდენტის საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი გარემოს მქონე საუნივერსიტეტო კორპუსებსა და აუდიტორიებში (სართულის შერჩევა, კორპუსის შერჩევა, კომპიუტერული ლაბორატორიების ხელმისაწვდომობა).

2.26. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილებამ ამ წესში ჩამოთვლილი პრინციპების დაცვით უზრუნველყოს ფაკულტეტებზე ყველა საფეხურის სასწავლო ცხრილების დამტკიცება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში.

2.27. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სასწავლო ცხრილებით გათვალისწინებული ლექცია - პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარების მიმდინარეობის აღრიცხვის მონიტორინგს უზრუნველყოფს სასწავლო წლის განმავლობაში და მონიტორინგის შედეგებს პრაქტიკული რეაგირებისათვის სისტემატურად აწოდოს ფაკულტეტის დეკანებსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებს.

მუხლი 3. სასწავლო ცხრილების დაგეგმვის შეფასება

3.1. იმ ცალკეულ შემთხვევებში, თუ ვერ მოხერხდება ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვასასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება ადგენს ამის მიზეზებს და შემდგომში ახდენს მისი შესაბამისი ვარიანტის შემუშავებას.

3.2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის კოტროლისა და მონიტორინგის განყოფილების მოთხოვნით, უნივერსიტეტში, თუ რამდენად სწორი მეთოდოლოგიით არის სასწავლო ცხრილები დაგეგმილი, წინადადებით შედის უნივერსიტეტის რექტორთან, რომ უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ჩაატაროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა.

3.3. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევისა და მისი ანალიზის შედეგების საფუძველზე ყოველი სასწავლო წლისათვის, მასწავლებელთა თვითშეფასებიადმი შემოქმედებითი მიდგომის გათვალისწინებით დგება მომავალი სასწავლო წლის ცხრილები.